წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ოქმი # 4

ქ. წალკა; 28.04.2023 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა – ავთანდილ ვანაძე;

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი: გოჩა ხაჩატურიან, რადიკ სარკისიან, ანტარამ მელტონიან, ნუგზარი ჩამურლიევი, მელიტონ პაკელიანი, ლევონ მარკოსიან, ზვიად გელაძე, ჯემალი ბერიძე, ჯაბა აბულაძე, მანანა გულედანი, სარკის ოგანესიან, იდა ბალაბანოვა, ალექსეი მუხსიევი, რუბენ ანესიან, მარინე ირემაძე, ლაერტ ტოროსიან, უშანგი ბოლქვაძე, ჯონი საბაძე, მალხაზ მგელაძე, მერაბ იაკობაძე, გურამ მგელაძე, ნოდარ ბერიძე, მამია ირემაძე, ასლან მგელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ანზორ ხინიკაძე,
ამირან საყვარელიძე წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

სხდომა დაიწყო: 11:00 სთ;
სხდომა დასრულდა: 11:45 სთ;

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ";

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის აპრილის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს;
საკრებულოს ღიაკენჭისყრით (25 მომხრე, 0 წინააღმდეგი) ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ";

/მომხსენებელი: ამირან საყვარელიძე წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

თანამომხსენებლები: ზვიად გელაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ლევონ მარკოსიან ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, მელიტონ პაკელიანი სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ანტარამ მელტონიან სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნუგზარ ჩამურლიევი სივრცით-ტერირორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, ჯემალ ბერიძე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე/;

განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის აპრილის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ";
/მომხსენებელი: ზვიად გელაძე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/;

სხდომამ განიხილა:

1. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელმა: ა.საყვარელიძემ საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;
თანამომხსენებლებმა: ზვიად გელაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ლევონ მარკოსიანმა ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, მელიტონ პაკელიანმა სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ანტარამ მელტონიანმა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ნუგზარ ჩამურლიევმა სივრცით-ტერირორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ და ჯემალ ბერიძემ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარემ საკრებულოს გააცნეს დასკვნები განკარგულების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

განკარგულება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (18 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (განკარგულება #გ-119.11923118001 თან ერთვის);

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის აპრილის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ"

/მომხსენებელი: ზ.გელაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს გააცნო აღნიშნული განკარგულება;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

(25 მომხრე, 0 წინააღმდეგი) განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (განკარგულება #გ-119.119231182 თან ერთვის);

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ავთანდილ ვანაძე